

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების
კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ. თელავი

2023 წლის 24 მარტი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: უჩა ჭოტიაშვილი, დავით დაღანიძე, ზაზა ტატულიშვილი, გიორგი ქართლელიშვილი, ივანე კირვალიძე, ალექსანდრე კუპატაძე, რამაზ ჩეკურიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ბაადურ რევაზიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე აბრამ მახარიაშვილი,

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ბაადურ გულიაშვილი, ნატალია ბახსოლიანი,

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი თედო ხოსროშვილი,

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

მომხს. ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ლ. კოჭლოშვილი

ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების შერჩევისათვის წარმოდგენილია 35 საპროექტო წინანადადება.

აზრი გამოთქვეს: ბაადურ რევაზიშვილმა იკითხა ქ. თელავის აღმაშენებლის (II) ში მოგვარებულია თუ არა კომუნიკაციები, რაზეც მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახურის უფროსმა თედო ხოსროშვილმა უპასუხა, რომ არ არის კომუნიკაციები მოწესრიგებული და შეცვლის შემდეგ მოხდება აღნიშნული ქუჩის მოასფალტებაც.

წარმოდგენილი საკითხი დაყენებული იქნა კენჭისყრაზე, სადაც ყველამ დაუჭირა მხარი.

გადაწყვიტეს: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



ლევან კოჭლოშვილი